THE BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

მნიშვნელოვანი თარიღები:

2023 წლის 4 დეკემბერი (15:45-18:00): მე-9 კლასის მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინდივიდუალური შეხვედრები;
2023 წლის 6 დეკემბერი: მათემატიკის სწავლება დაწყებითი წლების მეოთხე კლასელთათვის - დილის შეხვედრა მშობლებთან;
2023 წლის 11 დეკემბერი (15:45-18:00): მე-10 კლასის მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინდივიდუალური შეხვედრები;
2023 წლის 11 - 21 დეკემბერი: საერთაშორისო საბაკალავრო სადიპლომო პროგრამის გამოცდები;
2023 წლის 11 - 21 დეკემბერი: 10 კლასის iGCSE იმიტირებული გამოცდები;
2023 წლის 12 დეკემბერი: სკოლამდელი განათლების მოსწავლეებისა და 1 კლასის მოსწავლეების ერთობლივი საშობაო ღონისძიება;
2023 წლის 14 დეკემბერი: მე-2 და მე-3 კლასის მოსწავლეების საშობაო ღონისძიება;
2023 წლის 15 დეკემბერი: სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მოსწავლეთა ზამთრის ფესტივალი;
2023 წლის 15 დეკემბერი: დაწყებითი საფეხურის წიგნის კლუბის მონაწილეების დაჯილდოება (ბრინჯაო);
2023 წლის 22 დეკემბერი - 2024 წლის 8 იანვარი: ზამთრის არდადეგები;
2024 წლის 9 იანვარი: გაზაფხულის სემესტრის დასაწყისი;
2024 წლის 10 იანვარი: დილის შეხვედრები (9:00 - 10:00 სკოლაში / 16:00 - 17:00 ონლაინ) მშობელთა კითხვარის უკუკავშრი;
2024 წლის 18 იანვარი: დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრები.

დირექტორის წერილი

ძვირფასო მშობლებო,

გვსურს გაცნობოთ, რომ ნოემბრის თვეში აკადემიამ წარმატებით უმასპინძლა „კობისის" (ბრიტანული საერთაშორისო სკოლების საბჭოს) წარმომადგენლებს. ვიზიტი ემსახურებოდა „კობისის" სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობის შემოწმებას, რის საფუძველზეც გადაწყდება, გახდება თუ არა ჩვენი აკადემია „კობისის" ორგანიზაციის წევრი.
ბატონმა ჯონ ქუმბისმა („კობისის" მართვის განვითარების გამოცდილმა პარტნიორმა), შეხვედრები წარმართა შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან, ხუთი სხვადასხვა მიმართულებით: ბავშვთა დაცვა; ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; მოსწავლეთა კეთილდღეობა; სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო მზაობა; აკადემიაში მოქმედი ღირებულებები და ფასეულობები. „კობისში" გაწევრიანება მნიშვნელოვანია, რადგან ამით აკადემია მოიპოვებს მნიშვნელოვან გარე ვალიდაციასა და „კრიტიკული მეგობარს". პროცესის საშუალებით, სკოლა ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ განმავითარებელ უკუკავშირსა და რჩევებს ეცნობა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს აკადემიის სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრისთვისაც.
შემიძლია სიხარულით გაცნობოთ, რომ აკადემიის ოფიციალურმა ვიზიტორმა სკოლა დადებითი შთაბეჭდილებებით დატოვა. იგი მოსწავლეთა და მასწავლებელთა სითბოთი და ღიაობით მოიხიბლა. ასევე განსაკუთრებით აღნიშნა ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე. ახლა, შემდგომი საფეხური გულისხმობს ვიზიტორის მიერ, ზეპირი მოკვლევის შედეგების ოფიციალური მოხსენების სახით გაზიარებას „კობისის" დირექტორთან და ბორდთან. საბოლოო შედეგი საჯარო გახდება მხოლოდ ოფიციალური პასუხის შემდგომ.

ვიმედოვნებთ, არდადეგებამდე შევძლებთ მოკვლევის შედეგების გაზიარებას.

რობერტ ანსვორთი

BGA-ისა და BIST-ის ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმი

ეს სიმპოზიუმი არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ აერთიანებს მსგავსი ღონისძიებები თბილისის ახალგაზრდა და ნიჭიერ მოაზროვნეებს. კომპეტენტური ჟიურის მიერ შერჩეულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს თემები შემდეგ კატეგორიებში: ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები; გამოყენებითი და თეორიული მეცნიერებები; მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერები; სახვითი და გამოყენებით ხელოვნება. გასული წლის საინაუგურაციო ღონისძიების შემდეგ, წლევანდელმა სომპოზიუმმა კიდევ ერთხელ გააერთიანა თბილისის სკოლების მოსწავლეები. დიდი მადლობა ყველას, ვინც დაესწრო სიმპოზიუმს და წარადგინა ნაშრომი.

შეხსენება:

შეგახსენებთ, რომ დილით, მას შემდეგ, რაც თქვენს შვილს სკოლაში მოაცილებთ, უნდა დატოვოთ სკოლის ტერიტორია. სკოლის კამპუსზე დარჩენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ წინასწარ შეთანხმებული შეხვედრა სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრთან.

თუ გსურთ, სასწავლო დღის განმავლობაში დროზე ადრე გაიყვანოთ თქვენი შვილი სკოლიდან, გთხოვთ, მოგვწეროთ აკადემიის ადმინისტრაციის გუნდს მისამართზე: bga@bga.ge და ჩვენ დავაორგანიზებთ მოსწავლის გამცილებელ პუნქტთან მიყვანას. ანალოგიურად, დღის ბოლოს, გთხოვთ, დაელოდოთ შვილს გამცილებელ პუნქტთან. ზემოთ აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

უფროსკლასელთა მშობლებთან შეხვედრა მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელთან

კიდევ ერთი წარმატებული შეხვედრის შესახებ გიამბობთ. საბაზო-საშუალო საფეხურის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ნინო ბასლანძემ გააცნო მშობლებს მათემატიკის კურიკულუმი. შეხვედრის დროს, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კემბრიჯის IGCSE პროგრამაზე მე-9 და მე-10 კლასებში. მადლობა ყველას მონაწილეობისთვის.

BGA-სა და BIST-ის უნივერსიტეტების გამოფენა

ჩვენმა უფროსკლასელებმა საერთაშორისო უნივერსიტეტების წარმომადგენლებს შესაშური ენთუზიაზმითა და ინტერესით უმასპინძლეს. ვიზიტის დროს, მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტში მიღებისა და ჩარიცხვის, სასწავლო კურსებისა და კურიკულუმის შესახებ. მადლობას ვუხდით ჩვენი სკოლის საუნივერსიტეტო მრჩეველებს ამ საინტერესო და შემეცნებითი ღონისძიების ორგანიზებისთვის.

ბულინგის საწინააღმდეგო კვირეული

ბულინგის საწინააღმდეგო კვირეულმა დიდი ინტერესი გამოიწვია სასკოლო საზოგადოებაში. ძალიან მნიშვნელოვანია ამ კუთხით მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლება. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა მშობელს, რომელიც შემოგვიერთდა დილის შეხვედრაზე, სადაც ვისაუბრეთ აკადემიის მიდგომებზე - ბულინგის, როგორც მნიშვნელოვანი და გამოწვევების მქონე საკითხის მიმართ. ასევე, საინტერესოდ წარიმართა დისკუსია, რომელიც მოჰყვა აღნიშნული საკითხების განხილვას. ეს იყო მშობლების მხარდაჭერის, სკოლისა და მშობლების ერთობის მშვენიერი პრეცედენტი.

აკადემიის მოსწავლეთა საბჭოს მიერ ორგანიზებული საშემოდგომის წვეულება

მადლობა ჩვენი აკადემიის მოსწავლეთა საბჭოს, წლის პირველი ღონისძიების ორგანიზებისთვის. მოუთმენლად ველით მათ მიერ ორგანიზებულ, კიდევ არაერთ საინტერესო ღონისძიებას.

დაწყებითი საფეხურის საშემოდგომო გამოფენა

ნოემბრის ბოლოს, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მიერ ორგანიზებული საშემოდგომო გამოფენა გაიმართა. ბავშვებმა დიდი სიამოვნება მიიღეს ამ დღით და ვიმედოვნებთ, რომ მშობლებიც არ დავტოვეთ გულგრილნი. მადლობა ჩვენი დაწყებითი საფეხურის დაუღალავ გუნდს.